ოქმი:**ო02. 3723347001**

თარიღი:**13/12/2023**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 12 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

13.30-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ.ტუღუში; ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ვლ. ხავთასი, ტ. აროშიძე, გ. შილაკაძე, ნ. ჭანიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თეიმურაზ ქინქლაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის პროექტზე, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ თ. ქინქლაძეს. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო სამოქმედო გეგმის 12 ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ისაუბრა ნარჩენების მართვაში მიღწეულ შედეგებზე, არსებულ სიახლეებზე და მომავალ წელს განსახორციელებელ გეგმებზე. აღნიშნა, რომ უკვე მუნიციპალიტეტის ცენტრალურ უბნებში განთავსებულია ურნები, რომლებშიც ხდება პლასტიკატის ნარჩენების შეგროვება და შემდეგში მათი დაწნეხვა. დაინერგა იურიდიული სუბიექტებიდან მომსახურების ანაზღაურების თაობაზე შეტყობინებების დაგზავნის სისტემა და სხვა.

გეგმის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრი გ. შილაკაძე დაინტერესდა, მომავალი წლიდან იგეგმება თუ არა პლასტიკატების ნარჩენების შესაგროვებელი ურნების განთავსების გაფართოება, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. იყო შეკითხვა, ადმინისტრაციული ერთეულების იმ ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე, სადაც ვერ შედის სპეციალური

მანქანა, განუმარტეს, რომ ასეთ შემთხვევაში გამოძახებაზე მიდის მისაბმელიანი ტრაქტორი. დაისვა შეკითხვა ინდივიდუალური მომსახურების თანხის ამოღების თაობაზე, განუმარტეს, რომ აქაც მომავალი წლიდან დაინერგება შეტყობინებების სისტემა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი